

დიპლომატიის
ეთიკის
კოდექსი

DIPLOMAT

სარჩევი

ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორის შესავალი სიტყვა.....	04
რით ვხელმძღვანელობთ?	
ჩვენი მისია.....	06
ჩვენი ხედვა.....	06
ჩვენი პრინციპები.....	07
ჩვენი ღირებულებები.....	08
ჩვენი ბიზნეს ეთიკა	
თანამშრომლები და სამუშაო გარემო.....	16
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა.....	17
კლიენტები/მომწოდებლები.....	18
კონკურენტები.....	19
გარემო და საზოგადოება.....	19
აქციონერები.....	20
კორპორატიული ქცევის წესები.....	21
ეთიკურ დილემასთან გამკლავების გზები.....	22

ეთიკის კოდექსის მიზანი



ძვირფასო თანამშრომლებო,

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ დიპლომატისა და მისი შვილობილი კომპანიების ეთიკის კოდექსი.

როგორც გაყიდვებისა და დისტრიბუციის წამყვანი კომპანია, 50 წელზე მეტი გამოცდილებით, დიპლომატი დისტრიბუციას უწევს მსოფლიოს წამყვანი ბრენდების სამომხმარებლო და საკვები პროდუქციის მრავალფეროვან პორტფელს. დიპლომატი თავის კლიენტებს სთავაზობს უმაღლესი ხარისხის სერვისს და მოქნილ გადაწყვეტილებებს გაყიდვებისა და ლოგისტიკური მიმართულებით.

ეს დოკუმენტი, რომელიც დიპლომატ ჯგუფის ღირებულებებსა და პრინციპებზეა დაფუძნებული, შპს დიპლომატ ჰოლდინგის და მისი შვილობილი კომპანიების ეთიკის კოდექსია. ის ყველა თანამშრომელზე ვრცელდება. ჩვენი ქცევა ყოველთვის შესაბამისობაშია ეთიკის კოდექსთან და სწორედ ამიტომ ვამაყობთ რომ ამ კომპანიაში ვმუშაობთ.

მჯერა, რომ ერთიანი ორგანიზაციული კულტურის შექმნა, რომელიც დაფუძნებულია ეთიკურ ქცევაზე, გუნდურ მუშაობაზე, თანამშრომლობაზე, შიდა დაწინაურებასა და ჩართულობაზე - არის გზა ორგანიზაციის წარმატებისკენ. ვიმედოვნებ, რომ თითოეული თქვენგანი გააგრძელებს ჩვენი ეთიკის კოდექსის შესაბამის ქცევას რაც, კომპანიის გრძელვადიან წარმატებას უზრუნველყოფს.

ნოამ ვაიმანი
Noam Weiman

რით ვხელმძღვანელობთ?

ჩვენი მისია

მიწოდების ჯაჭვის სრულ პროცესში კლიენტზე მორგებული ღირებულებების შექმნით გავხდეთ მათთვის სასურველი არჩევანი.

ჩვენი ხედვა

გაყიდვებისა და დისტრიბუციის ნოვატორული გადაწყვეტილებების შემუშავება, რათა გავხდეთ წამყვანი მოთამაშე სწრაფად ბრუნვადი სამომხმარებლო პროდუქციის გლობალურ ბაზარზე.

ჩვენი პრინციპები

როგორც ლიდერი კომპანია გაყიდვებისა და დისტრიბუციის სფეროში ჩვენ ჩვენი მისიით და ღირებულებებით ვხელმძღვანელობთ. დიპლომატში ვმოქმედებთ შემდეგი პრინციპებით:

- ჩვენ ვაფასებთ და პატივისცემით ვეპყრობით სხვებს
- ჩვენ კომპანიის და თანამშრომლის წარმატებას ერთიანად განვიხილავთ
- ჩვენ ფოკუსირებული ვართ ჩვენს კლიენტებზე
- ჩვენ სამუშაოს შესრულებისას ვხელმძღვანელობთ კომპანიის სტრატეგიით
- ჩვენ ვახალისებთ ინიციატივებს, რაც დამატებით სარგებელს უქმნის ჩვენს კლიენტებს
- ჩვენ ვისწრაფით ვიყოთ საუკეთესოები
- ჩვენ ვმოქმედებთ ერთობლივად და შეთანხმებულად
- ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ეთიკური ნორმებით

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი გუნდის თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა ღირებულებებისადმი ერთგულება - ყველა ბიზნეს ერთეულში, ყველა როლისა და პოზიციის თანამშრომლისთვის.

დიპლომატში ვმოქმედებთ ექვსი ძირეული ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩვენი ორგანიზაციული კულტურის საფუძველი და მორალია. ჩვენი წარმატების განმსაზღვრელი და მამოძრავებელი ძალა თანამშრომლები და ღირებულებებია.

ჩვენი ღირებულებებია:



პასუხისმგებლობა




პროფესიონალიზმი



კეთილსინდისიერება



გუნდურობა



სწრაფვა გამარჯვებისკენ



სერვისზე
ორიენტირებულობა



პასუხისმგებლობა

ჩვენ საქმეს ვუდგებით როგორც საკუთარს და ვაღწევთ შედეგებს ლიდერობის, ჩართულობისა და პირადი ინიციატივის გამოვლენის გზით.

ჩვენთვის ბიზნესი და ეთიკური პასუხისმგებლობა ერთია. ჩვენ საქმეს პირადი პასუხისმგებლობით ვეკიდებით, რათა შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა და გადავლახოთ გამოწვევები. ჩვენ ვიყენებთ ინოვაციურობას, უნარებსა და გამოცდილებას წარმატებული შედეგების მისაღწევად.

როგორ ვავლენთ პასუხისმგებლობას დიპლომატში?

- ჩვენ ვხდებით კომპანიის ამბასადორები, როდესაც ვავლენთ გონივრული განსჯის უნარსა და პირად პასუხისმგებლობას.
- ჩვენი ქცევა უნდა გამოხადავტეს პატივისცემას ნებისნიერ ადგილას, იქნება ეს ბიზნეს შეხვედრა, სოციალური ქსელი, ფილდი თუ ოფისი.
- კომპანიის დადებითი იმიჯის საზგასასმელად, მნიშვნელოვანია წარმოვჩინდეთ როგორც პროფესიონალები.
- ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, საქმის კურსში ჩავაყენოთ შესაბამისი პირები, თუ ჩვენთვის ცნობილი გახდება ღირებულებების შეუსაბამო ქმედების ფაქტი.





პროფესიონალიზმი

ჩვენ ვაღწევთ საუკეთესო შედეგებს საკუთარი უნარების განვითარების, სამუშაო პროცესების და ორგანიზაციული ეფექტურობის უწყვეტი გაუმჯობესების გზით.

დიპლომატის წარმატების ერთ-ერთი ფუნდამენტური მამოძრავებელი ძალაა პროფესიონალიზმი. პროფესიონალიზმი ჩვენი თანამშრომლების დამსახურებაა, რადგან: ვასაქმებთ და ვზრდით საუკეთესო თანამშრომლებს, უწყვეტად ვაუმჯობესებთ და ვანვითარებთ შესაძლებლობებსა და სამუშაო პროცესებს.

როგორ ვავლენთ პროფესიონალიზმს დიპლომატში?

- დიპლომატი ასაქმებს საუკეთესოებს. შერჩევის პროცესი სამართლიანობისა და თანასწორობის გათვალისწინებით მიმდინარეობს. კანდიდატი ფასდება თავისი პროფესიონალიზმითა და გამოცდილებით, განურჩევლად სქესისა, რელიგიისა, რასისა თუ სხვა ნებისმიერი დისკრიმინაციული ნიშნისა.
- ჩვენ ვუზრუნველვყოფთ კადრების შერჩევის პროცედურის მუდმივ გაუმჯობესებას და განახლებას ცვალებადი საჭიროებების გათვალისწინებით. სწორედ ასე ვაყალიბებთ პროფესიონალების გუნდსა და წამყვან კომპანიას.
- ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამშრომლების შიდა დაწინაურებას, ვღებთ ინვესტიციას განვითარებაში, ხელს ვუწყობთ პროფესიულ წინსვლაში და ამ გზით ვზრდით მომავალ ლიდერებს, რითიც უზრუნველვყოფთ კომპანიის წარმატებას.
- ჩვენ უზრუნველვყოფთ ვიყოთ ექსპერტები ჩვენს სფეროში და ყველა იმ ქვეყანაში სადაც ვოპერირებთ.





კეთილსინდისიერება

ჩვენ ვმოქმედებთ კეთილსინდისიერად, გამჭვირვალედ და ურთიერთპატივისცემით, ეთიკური პრინციპების დაცვითა და კანონის შესაბამისად.

კეთილსინდისიერება განსაზღვრავს ჩვენ დამოკიდებულებასა და ურთიერთობას კოლეგებთან, თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, პარტნიორებთან თუ სხვა ორგანიზაციებთან. როგორც საჯარო კომპანიას მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოვალეობაა ვიყოთ გამჭვირვალე და განსაკუთრებული ზრუნვით მოვეკიდოთ საქმეს. გვჯერა, რომ საქმის სწორად კეთილსინდისიერად კეთება აუცილებლად მიგვიყვანს ორგანიზაციის წარმატებამდე.

როგორ გამოვხატავთ კეთილსინდისიერებას დიპლომატში?

- ყველა ბიზნეს გადაწყვეტილება მიიღება ჩვენი ღირებულებების გათვალისწინებით ყოველგვარი კომპრომისების გარეშე;
- ჩვენ პატივს ვცემთ ყველა ადამიანს განურჩევლად რელიგიის, კულტურის, რასის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკისა თუ სხვა ნებისმიერი დისკრიმინაციული ნიშნისა.
- ჩვენი ღირებულებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, სამართლიან შრომით ურთიერთობებს, სადაც შესაძლებლობები და გამოცდილება შეფასებულია მიუკერძოებლად.





გუნდურობა

ჩვენი გუნდის ყველა წევრი მიისწრაფვის გამარჯვებისაკენ ჩვენ მხარს ვუჭერთ და ვუზიარებთ ერთმანეთს იდეებსა და ცოდნას, რითიც წვლილი შეგვაქვს როგორც საკუთარი თავის, ასევე კომპანიის უწყვეტ წარმატებაში.

როგორ გამოვხატავთ გუნდურობას დიპლომატში?

- ჩვენ გვჯერა ურთიერთდახმარებით გუნდური მუშაობის, სადაც ადგილი არ აქვს ცილისწამებას.
- ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ყველანი ვართ თანასწორნი და ერთი და იმავე გუნდის წევრები. შესაბამისად, პატივს ვცემთ კოლეგებს და მათ შეხედულებებს, თუნდაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს.
- ჩვენი თანამშრომლების საჭიროებების გაგებით, ვქმნით კლიმატს სადაც თანამშრომლები არიან ჩართულები, კრეატიულები და გუნდურები. აქ თითოეულ ინდივიდს შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა და გავლენის მოხდენა.





სწრაფვა გამარჯვებისკენ

ჩვენ ვაღწევთ გამარჯვებას შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობითა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვით. ყოველთვის ვისწრაფვით ვიყოთ საუკეთესოები და წარმატებას მივადგინოთ ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ.

როგორ გამოვხატავთ გამარჯვებისკენ სწრაფვას დიპლომატში?

- ვისწრაფვით ვიყოთ საუკეთესოები ჩვენს სფეროში.
- ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ სამუშაო პროცესებისა და სერვისების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.
- მუდმივად ვხვეწავთ და ვსწავლობთ, ვწერგავთ რა ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს.
- ვისწრაფვით, სამუშაო გეგმების სრულყოფილად შესრულებისკენ, ვსწავლობთ წარმატების და წარუმატებლობის მაგალითებზე.
- მუდმივად ვვითარდებით, რათა მოვერგოთ მომხმარებლების ცვალებად საჭიროებებს.





სერვისზე ორიენტირებულობა

ჩვენ საუკეთესო მომსახურებას ვუწევთ ჩვენს შიდა და გარე მომხმარებლებს, ვადგენთ რა მათი უნიკალურ და ცვალებად საჭიროებებს.

ჩვენ ვართ ჩვენი მომხმარებლების წარმატების ერთგული. ვუსმენთ ჩვენს მომხმარებლებს, ვადგენთ მათ საჭიროებებს და ვუწევთ საუკეთესო პროფესიონალურ მომსახურებას.

როგორ გამოვხატავთ სერვისზე ორიენტირებულობას დიპლომატში?

- ვპოულობთ კრეატიულ გზებს ჩვენი მომხმარებლების მომავალი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
- ჩვენს მომხმარებლებს ვთავაზობთ მრავალფეროვან პროდუქციასა და მომსახურების ფართო სპექტრს მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
- ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, რომელიც დაფუძნებულია ჩვენს პროფესიულ ცოდნასა და უახლეს ტექნოლოგიებზე.
- ჩვენ გამოვხატავთ პატივისცემას და მადლიერებას ყველა ჩვენი კოლეგის, კლიენტის, ვენდორის და პარტნიორის მიმართ და თითოეულ მათგანს ვეპყრობით თანაბრად და სამართლიანად.
- ჩვენ მოვიპოვებთ მომხმარებლების ნდობას მათდამი გამჭვირვალე, გულახდილი და ღია ურთიერთობითა და დამოკიდებულებით.



ჩვენი ბიზნეს ეთიკა

თანამშრომლები და სამუშაო გარემო

- ჩვენ ჩვენი ჯგუფის ღირებულებების ერთგული ვართ და ყველა ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებისას ამ ღირებულებებით ვხელმძღვანელობთ. ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ღირებულებებს სრულიად მიუღებელია და აუცილებლად მოყვება შესაბამისი რეაგირება.
- ჩვენ ვისწრაფით შევქმნათ ჯანსაღი, უსაფრთხო, მხარდამჭერი სამუშაო გარემო, სადაც ერთმანეთს პატივს ვცემთ. ეს ხელს უწყობს თანასწორობას, გუნდურობას და ურთიერთპატივისცემის გამოხატვას.
- ვგმობთ ნებისმიერ შეუსაბამო ქცევას, შევიწროვებას (სიტყვიერს, ფიზიკურს თუ სექსუალურს) თუ ბულინგს. ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც ამგვარი ქცევის მოწმე ან ადრესატი განდება, ვალდებულია ჯგუფის ცხელ ხაზს დაუკავშირდეს.
- ჩვენ არ ვახდენთ თანამშრომლების დისკრიმინაციას გენდერული, რასობრივი, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციის თუ სხვა რაიმე დისკრიმინაციული ნიშნით, რათა უზრუნველყოთ თანაბარი და მრავალფეროვანი სამუშაო გარემოს შექმნა და შენარჩუნება.

- ჩვენ ხელს ვუწყობთ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ინტეგრაციას.
- უზრუნველვყოფთ ჩვენს თანამშრომლებს საჭირო ტრენინგებითა და პროფესიული განვითარებით, რათა მათ მაღალ დონეზე შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა.
- მხარს ვუჭერთ მოქნილ სამუშაო გრაფიკს, ვინაიდან გვჯერა, რომ სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსი ხელს უწყობს თანამშრომლის კმაყოფილებას და ზრდის პროდუქტიულობას.
- უსაფრთხოება ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის - ჩვენ ვიცავთ ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოებას და უზრუნველვყოფთ უსაფრთხოების ყველა ინსტრუქციისა და პროცედურის დაცვას.
- თანამშრომელთან, კლიენტთან თუ ვენდორთან პირადი ურთიერთობის ან ნათესაური კავშირის შესახებ, უნდა ეცნობოს შესაბამის სამსახურს პროტოკოლის მიხედვით.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

- ყველა ჩვენს ქმედებაში, ჩვენ ვართ როლური მოდელი დაქვემდებარებულებისა და კოლეგებისთვის.
- ჩვენ არ ვიყენებთ ბოროტად ჩვენს უფლებამოსილებას პირად თუ პროფესიულ საქმიანობაში.
- ჩვენი ვიცავთ ჩვენი თანამშრომლების კონფიდენციალურ ინფორმაციას. ჩვენ არ ვამჟღავნებთ სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს, მათთვის შეტყობინებისა და მათივე წინასწარი თანხმობის გარეშე.
- ჩვენ მხარს ვუჭერთ აზრის ღიად გამოთქმას და წავხალისებთ თანამშრომლებს რომ მოგვმართონ.

კლიენტები / მომწოდებლები

- სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში ჩვენ ვთანამშრომლობთ გლობალურ და ადგილობრივ წამყვან მომწოდებლებთან, რათა შევქმნათ ღირებულება ჩვენი კლიენტებისთვის.
- ჩვენ ვქმნით ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებს ჩვენს კლიენტებთან და მომწოდებლებთან, რაც საკვანძო ფაქტორია საერთო მიზნების მისაღწევად.
- ჩვენ კლიენტების მიმართ ვართ პროაქტიულები და მზრუნველები.
- ვირჩევთ ისეთ მომწოდებლებს, რომლებიც თავის სფეროში არიან ლიდერები და გამოირჩევიან ეთიკური ქცევის ნორმებით.
- ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი კლიენტებისა და მომწოდებლების ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე. ვიყენებთ მას ჯეროვნად და დიდი სიფრთხილით.
- ჩვენ ვინარჩუნებთ მუდმივ კომუნიკაციას კლიენტებთან და მომწოდებლებთან.
- იმისათვის რომ მუდმივად გავაუმჯობესოთ სერვისი, კლიენტების მოთხოვნებსა და საჩივრებს ვმართავთ კლიენტთა მომსახურების გუნდის საშუალებით.
- ჩვენი მიზანია ყველა მოთხოვნასა თუ პრეტენზიას დროულად და სამართლიანად ვუპასუხოთ.
- ჩვენ ღირსეულად და გამჭვირვალედ წარმოვაჩენთ ჩვენს პროდუქციას და არ ვაზიარებთ შეცდომაში შემყვან ინფორმაციას

კონკურენტები

- ჩვენ ყოველთვის ვისწრაფვით სამართლიანი კონკურენციისკენ, იურიდიული, მორალური, ჰუმანური და სოციალური ნორმების დაცვით.
- ჩვენ თავს შევიკავებთ ჩვენს კონკურენტებთან დაკავშირებული ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის მიღებისა თუ გამოყენებისგან, რომელიც მოპოვებულია არაკეთილსინდისიერი გზით.

გარემო და საზოგადოება

- ჩვენ ვართ ხალხის გვერდით, ყველგან სადაც ვსაქმიანობთ.
- ვიცავთ კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის გლობალურ პოლიტიკას, რომელიც მომავალი თაობებისთვის საგანმანათლებლო უნარებისა და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული.
- ჩვენ ვმუშაობთ გარემოზე მიყენებული ზიანის შესამცირებლად.

აქციონერები

- ჩვენ ვიცავთ ყველა სამართლებრივ მოთხოვნას და ჩვენს აქციონერებსა და მომწოდებლებს სრულ და სანდო ანგარიშებს ვაწვდით;
- ჩვენ ვმუშაობთ, რათა ჩვენს ინვესტორებს მოვუტანოთ ღირებულება:
 - ბიზნესის განვითარებით, როგორცაა ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების ასორტიმენტის გაფართოვება, ახალ ბაზრებსა და ქსელებში შესვლა, ახალი ბიზნესის შემოერთება და სხვა;
 - ჩვენი სამუშაო პროცესების მუდმივი გაუმჯობესებით და გაყიდვების ზრდით.

კორპორატიული ქცევის წესები

- ჩვენ ვიცავთ კანონის მოთხოვნებსა და მითითებებს, ვმოქმედებთ ყველა იმ სახელმწიფოს მთავრობისა და სხვადასხვა ორგანოების მიერ დაწესებული რეგულაციების შესაბამისად, სადაც ვოპერირებთ.
- ჩვენ ჯგუფის აქტივებს, როგორც მატერიალურს, ისე არამატერიალურს, ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით ვიყენებთ. ჩვენ არ გამოვიყენებთ კომპანიის პოზიციას და აქტივებს პირადი თუ არაპირადი სარგებელისთვის.
- არ გამოვიყენებთ შიდა ინფორმაციას პირადი ან ბიზნეს ინტერესებისთვის.
- ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ყველა ინფორმაცია რომელიც მნიშვნელოვანია დაკავშირებული პირებისთვის, იყოს გამჭვირვალე და სრული. მაშინაც როცა, შესაძლოა ამ სახის ინფორმაციის გაცემამ უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე.
- ჩვენ თანამშრომლები არ ვავრცელებთ უარყოფით ინფორმაციას, თუმცა, აუცილებლად შევატყობინებთ ჩვენს ხელმძღვანელებს, რათა მათ შეძლონ საკითხის მოგვარება (საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი გზით).
- ჩვენ ვიცავთ ინფორმაციას დასაქმებულების შესახებ კანონის შესაბამისად და არ გავცემთ ინფორმაციას მათი თანხმობის გარეშე.
- ჩვენ ვიცავთ კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას. არ ვუზიარებთ მას ჩვენს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, არ ვხდით საჯაროს და არ ვტოვებთ საგულისხმო ინფორმაციას უკონტროლოდ სხვისთვის ხელმისაწვდომად.

- ჩვენ თავს ვიკავებთ პირადი სარგებელის მიღების მიზნით, გავცეთ ან მივიღოთ საჩუქრები (დასასვენებელი ან ღონისძიებების ბილეთები და სხვა.) დაინტერესებული პირებისგან და ვმოქმედებთ შესაბამისი კანონმდებლობისა და „საჩუქრების მიღების პოლიტიკის“ შესაბამისად.
- ჩვენ არ ვაძლევთ, არ ვთავაზობთ და არ ვიღებთ თანხას ან სხვა ღირებულ ნივთს ნებისმიერ პირს/პირისგან (მათ შორის ჩვენი კლიენტებისა და მომწოდებლებისგან), რომლის მიზანია გავლენა მოახდინოს ან წახალისოს არასათანადო ქმედება ან უსამართლო უპირატესობის მინიჭება. ჩვენ ვიცავთ ყველა მოქმედ ანტიკორუფციულ და მექრთამეობის წინააღმდეგ კანონს.
- ჩვენ თავს ვიკავებთ ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი ნებისმიერი სიტუაციისგან ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტისგან ჩვენსა და კომპანიას, ან ჩვენსა და ნებისმიერ მესამე პირს შორის. ვაცნობიერებთ, რომ მსგავსმა ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე. ინტერესთა კონფლიქტის განმარტებისას ჩვენ ვეყრდნობით ჯგუფის ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკას.
- პოლიტიკური აქტიურობაში არ ვერთვებით კომპანიის სახელით. ნებისმიერი პოლიტიკური განცხადების გაკეთების თუ ქმედების განხორციელებისას, როგორცაა: პუბლიკაციები სოციალურ მედიაში, პოლიტიკური დღის წესრიგის ან პოლიტიკური კანდიდატის მხარდაჭერა, დონაცია, დემონსტრაცია თუ სხვა, ვრწმუნდებით, რომ ამას პირადი სახელით ვაკეთებთ და არა როგორც კომპანიის წარმომადგენელი/თანამშრომელი.
- ჩვენ ვიღებთ ზომებს, რათა თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი ქმედება, რომელიც ფულის გათეთრებაზე აჩენს ეჭვს.

ეთიკურ დიდიემასთან
გამკლავების გზები

ეთიკური დილემა არის სიტუაცია, რომელიც მოიაზრებს კონფლიქტს ორ ან მეტ დირექტულებას შორის, რომელსაც არ აქვს მკაფიო სამართლებრივი პასუხი, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი სამართლებრივი ნორმის არსებობის შემთხვევაში დილემაც არ იარსებებდა.

იმისთვის, რომ წარმატებით გავუმკლავდეთ ეთიკურ დილემებს, ამ კოდექსში მოცემული მითითებების გარდა, საკუთარ თავს შეგვიძლია შემდეგი კითხვები დავუსვათ:

- არის კი ეს ნამდვილად დილემა? არსებობს კანონი, რომელიც ამ საკითხს მიესადაგება და რომელსაც შემიძლია დავეყრდნო?
- ეხება თუ არა ეთიკის კოდექსი ამ კითხვას? ყოველთვის რეკომენდირებულია კოდექსის გადახედვა და იმის გაგება, არის თუ არა თქვენს საკითხთან დაკავშირებული მითითებები გათვალისწინებული მასში.
- რა არის ამ სიტუაციის მოგვარების შესაძლო გზები? რა არის თითოეული, ჩვენს მიერ ნაპოვნი გამოსავალის სამართლებრივი და ეთიკური შედეგები?

იმისათვის რომ დავრწმუნდეთ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ თუ არა, გადასამოწმებლად აუცილებელია საკუთარ თავს ვკითხოთ:

- ტესტი „მე“ - როგორ ვიგრძნობდი თავს, მე რომ ამგვარად მომქცეოდნენ?
- ტესტი „გაზეთი“ - როგორ ვიგრძნობდი თავს, თუკი ჩემი ქმედებები ამ საკითხზე გაზეთში დაიბეჭდებოდა?
- ტესტი „შვილი“ - ვურჩევდი თუ არა ჩემს შვილებს ჩემნაირად მოქცევას?

ეთიკურ დილემასთან გამკლავება არასდროსაა მარტივი. რეკომენდებულია, რომ ყოველთვის გაიაროთ კონსულტაცია სხვებთან და გადაწყვეტილების მიღებამდე მოისმინოთ მათი მოსაზრებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეჭვი გეპარებათ თუ რომელია სწორი ქმედება.

მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ

ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ყველა მენეჯერი და დასაქმებული დაიცავს კომპანიის ღირებულებებს და ეთიკის კოდექსს.

თითოეულ დარღვევაზე რეაგირება იქნება სწრაფი და მიუკერძოებელი, მიუხედავად თანამშრომლის სტატუსისა და გამოცდილებისა.

თუ თქვენ გახდებით ისეთი ქცევის მოწმე, რომელიც შეუსაბამოა ეთიკის კოდექსში აღწერილ კომპანიის პრინციპებთან, გთხოვთ, დაუკავშირდეთ დიპლომატ გლობალის შიდა აუდიტორულ სამსახურს, თქვენს უშუალო ხელმძღვანელს ან თქვენს ადგილობრივ HR მენეჯერს. დამატებით, შეტყობინება შეგიძლიათ ანონიმურადაც დააფიქსიროთ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით.

ეთიკის კოდექსი არ წარმოადგენს არცერთი კანონის, რეგულაციისა თუ პროტოკოლის შემცვლელს, რომელიც სავალდებულოა კომპანიისთვის, თანამშრომლებისთვის და ყველა დკავშირებული მხარისთვის. ეთიკის კოდექსი არ უგულებელყოფს სამართლებრივ ნორმებს და არ უზრუნველყოფს სამართლებრივ რჩევას. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კოდექსი არის მხოლოდ შიდა მოხმარების დოკუმენტი, მისი დარღვევა ჩაითვლება დისციპლინარულ დარღვევად და კომპანიის მხრიდან მოყვება შესაბამისი რეაგირება.

The logo for DIPLOMAT, featuring the word in a bold, italicized, white sans-serif font with a diagonal slash through the letters.

DIPLOMAT

4 Hermon St. / Airport City, 701000, Israel / 972-3-9766666 / info_group@diplomat-global.com